სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ქ. თბილისი

05 თებერვალი 2019 წელი

სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 18 იანვრის N 5 ბრძანების საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისიის
სხდომის ოქმი №01

დავით ხვედელიძე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;
ია ძებისაური - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსი;
ნიკო გიგოლაშვილი – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის შესყიდვების ჯგუფის უფროსი;
ზურაბი ხეცურიანი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის შესყიდვების მენეჯერი;
ირინე სადრაძე - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის შესყიდვების სპეციალისტი;
ირმა ოქროპირიძე - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურის იურისტი;

დღის წესრიგი:

1. სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა და დამტკიცება;
2. ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცება.

განიხილეს:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს წარუდგინა სატენდერო კომისიის აპარატის მიერ მომზადებული, სასტუმრო მომსახურების (CPV 55110000 - სასტუმროში დაბინავების მომსახურება; 55130000 - სასტუმროსთან დაკავშირებული სხვა მომსახურებები) სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო კომისიამ იხელმძღვანელა ჩატარებული ფასთა გამოკითხვით და შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვრა - 36900 (ოცდათექვსმეტი ათას ცხრაასი) ლარი დღგ-ს გარეშე.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს სატენდერო დოკუმენტაციითა და განცხადებით განსაზღვრული პირობების ირგვლივ.

აზრი გამოთქვეს:

სატენდერო კომისიის წევრებმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი სახით სატენდერო განცხადება და დოკუმენტაცია მისაღებია.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია და განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ.

2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს ორი სამუშაო დღის ვადაში სატენდერო განცხადების და დოკუმენტაციის განთავსების უზრუნველყოფა www.procurement.gov.ge-ზე.

კომისიის თავმჯდომარე	დავით ხვედელიძე -	
კომისიის წევრები:	ნიკო გიგოლაშვილი -	
	ია ძებისაური -	
კომისიის აპარატის წევრები:	ზურაბი ხეცურიანი -	
	ირმა ოქროპირიძე -	
	ირინე სადრაძე -	